ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 313

2 ოქტომბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტალის კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განაკრგვს ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა :

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტალის კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის №18.796.1152 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტალის კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.024.078) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, საჯარო სამართლის

იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან (ს/ნ: 204395537) გასაფორმებელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის №18.796.1152 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტი შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

ხელშეკრულება

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი --------წ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---- წლის -------- N-------განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---- წლის ---- N---- განკარგულების საფუძველზე ჩვენ, ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პური - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „გამყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) წარმოდგენილი --------- მიერ - პ/ნ N---------- და მეორეს მხრივ, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (ს/ნ:204395537) (შემდგომში „მყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქალაქ თბილისი, ერეკლე II მოედანი, N1) წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ N-------- სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ----- წლის --------N-------განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, საკუთრებაში გადასცემს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნისIV მიკრო/რაიონი, კვარტალი 2, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.078);

1.2 საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ხელშეკრულების საგნის მახასიათებლებია: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:N01.17.07.024.078; განცხადების რეგისტრაციის N892018793811 - 12/09/201812:20:57;სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: ისანი - 17; კვარტალი: 07; ნაკვეთი: 024/078; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 2244კვ.მ; მისამართი: ქალაქი თბილისი, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი 2, კორპუსი N7-ის მიმდებარედ;მესაკუთრე: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური და მისი გადახდის წესი

2.1. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება გაიყიდა სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად (საპრივატიზებო საფასური);

2.2. საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3. მყიდველის მიერმე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობები

3.1. მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3.2. მყიდველისთვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.17.07.024.078) ეკლესიის მშენებლობა, შემოღობვის გარეშე.

მუხლი 4. პირგასამტეხლო

4.1. საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი) გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა;
4.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
სახაზინოკოდი: 300773287
(შემოსავალიხელშეკრულებისპირობებისდარღვევისგამოდაკისრებულიპირგასამტეხლოდან)
.
4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის გამოსწორებისთვის მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
4.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, „მყიდველს" არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 5. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

6.1. გამყიდველი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონება ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება და არ არის სადავო; იგი არ არის იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (ს/კ: N01.17.07.024.078);
6.2. მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა უძრავი ქონების ხარისხი.
6.3. გამყიდველი იღებს ვალდებულებას: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს

დაუდასტუროს საკუთრების უფლება, შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით.
6.4. მყიდველი ვალდებულია:
6.4.1. პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საპრივატიზებო პირობები.
6.4.2. ვალდებულებების შესრულების პერიოდში გამყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და წესით წარუდგინოს ინფორმაცია პირობებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
6.4.3. შეძენილ ქონებაზე ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისა ან/და ვალდებულებების შესრულების დადასტურებამდე მყიდველს უფლება არა აქვს, გამყიდველის თანხმობის გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. ამასთან, მყიდველი პასუხისმგებელია გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
6.4.4. ქონების შემძენს უფლება არ აქვს საპრივატიზებო ვალდებულებების/პირობების შესრულების მიზნით იპოთეკით ან გირავნობით დატვირთოს შეძენილი ქონება გამყიდველის თანხმობის გარეშე.
6.4.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში) მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულებით.
6.4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.
7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში,საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამყიდველი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ქონებისმართვისსააგენტო

მყიდველი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია